

მონათესავე ენების კანონზომიერი შესატყვისობები ლექსიკურ დონეზე

საერთო ინდოევროპული ლექსიკა Inherited Indo-European Lexicon

ინდოევროპული ენების ლექსიკის უძველეს შრეს საერთო ინდოევროპული წარმოშობის სიტყვები შეადგენს. ეს სიტყვები ინდოევროპული ერთობის პერიოდს განეკუთვნება, ისინი არსებობდა პროტო-ინდოევროპულ ენაში სანამ ეს ენა, ინდოევროპული მოდგმის ტომების განსახლებამდე ევროპისა და აზიის ვრცელ ტერიტორიაზე, ცალკეულ ენებად დაიშლებოდა. პროტოგერმანიკულმა, პროტოკელტურმა, პროტოსლავურმა და სხვა პროტო ენებმა ეს სიტყვები მემკვიდრეობით მიიღეს პროტო-ინდოევროპული ენიდან და შემდეგ, საერთო ინდოევროპული სიტყვები შევიდა ცალკეული გერმანიკული, კელტური, სლავური და სხვა ინდოევროპული ენების ლექსიკონში.

რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოეჩვენოს ვინმეს, საერთო ინდოევროპული ლექსიკონი საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ამ ეტიმოლოგიურ შრეში შედის მცენარეების, ცხოველების, სხეულის ნაწილების, ციური სხეულების აღმნიშვნელი, აგრეთვე სხვა თემატური ჯგუფის სიტყვები. საერთო ინდოევროპული შრის ზმნები აღნიშნავს ადამიანის საქმიანობის ძირითად სახეობებს; ზედსართავი სახელები გადმოსცემს ყველაზე არსებით ნიშან-თვისებებს; ამ ეტიმოლოგიურ შრეში შედის ნაცვალსახელები, რიცხვითი სახელები, სიტყვათმარწარმოებელი აფიქსები და სხვა.

პროტო-ინდოევროპული ენის ლექსიკონი აღდგენილია ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით. თამაზ გამყრელიძისა და ვიაჩესლავ ივანოვის ორტომიანი წიგნის „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“ მეორე ტომი მთლიანად ეთმობა სწორედ პროტო-ინდოევროპული ენის ლექსიკის მიმოხილვას. აღნიშნული ლექსიკა მოიცავს შემდეგ თემატურ ჯგუფებს:

1. ღმერთები, ადამიანები, ცხოველები - „სულიერის“, „ცოცხალის“ სამყარო;

2. „შუა სამყაროს“ ცხოველები;
3. „ქვედა სამყაროს“ ცხოველები;
4. „ზედა სამყაროს“ ცხოველები;
5. რიტუალურად ადამიანთან ახლოს მდგომი ცხოველები;
6. რიტუალურად ადამიანისაგან დაშორებული ცხოველები;
7. მცენარეული სამყარო;
8. გარემომცველი გეოგრაფიული გარემო, ჰავა, ციური სხეულები;
9. სამეურნეო საქმიანობა, ხელობები, ტრანსპორტი;
10. სოციალური ორგანიზაცია, ეკონომიკა, ნათესაობის ადმინიშენელი ტერმინები და სხვ.

თითოეულ ჯგუფში შედის ცალკეული სიტყვები, მაგ. ნათესაობის ადმინიშენელი ტერმინებია: დედა, მამა, და, ძმა და სხვა.

შუა სამყაროს ცხოველებია: მგელი, დათვი, ლეოპარდი და პანთერა, ლომი, გარეული ტახი, ირემი, კურდღელი, ციყვი, მაიმუნი, სპილო და სხვა.

ქვედა სამყაროს ცხოველებია: გველი, ჭია, თაგვი, კუ, თახვი, კიბორჩხალა, ბაყაყი და გომბემო, ბუზი, კრაზანა, ტილი, თევზი, ორაგული და სხვა.

ზედა სამყაროს ცხოველებია: ჩიტი, არწივი, გედი, ბატი, წერო, კოდალა, ყორანი და სხვა.

რიტუალურად ადამიანთან ახლოს მდგომი ცხოველებია: ცხენი, სახედარი, ძროხა და ხარი, ცხვარი, თხა და სხვა.

რიტუალურად ადამიანისგან დაშორებული ცხოველებია: ძაღლი, კატა, ღორი, წიწილა, ქათამი, მამალი, ფუტკარი და სხვა.

მცენარეები: ხე, მუხა, წიფელი, ტირიფი, რცხილა, ვერხვი, ფიჭვი, თხილი, ვაშლი, ალუბალი, თუთა, ყურძენი და ღვინო, ხორბალი, ქერი, შვრია, ფეტვი და სხვა.

მეტეოროლოგიური მოვლენები: ქარი, წვიმა, თოვლი და სხვა.

ციური სხეულები: მზე, მთვარე, ვარსკვლავები, თანავარსკვლავედი და სხვა.

გეოგრაფიული გარემო: მთა, მდინარე, ზღვა, ტბა, ჭაობი და სხვა.

სამეურნეო საქმიანობა: მიწათმოქმედებასთან, მესაქონლეობასთან, ნადირობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია; წისქვილი, მარცვლის დაფქვასთან დაკავშირებული ტერმინები და სხვა.

საკვების მომზადებასთან დაკავშირებული სიტყვები: ცეცხლი, კერა, მარილი, ზეთი და სხვა.

ტერმინოლოგია, რომელიც დაკავშირებულია ძაფის დართვასთან, კერვასთან, ქსოვასთან, სამეთუნეო საქმიანობასთან, მეტალურგიასთან, სამჭედლო საქმესთან, ტრანსპორტთან და გადაადგილების საშუალებებთან და სხვა.

წინა თავში განვიხილეთ ნათესაობასთან დაკავშირებული ტერმინები: დედა, მამა, ძმა. ახლა განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი სხვა თემატური ჯგუფებიდან.

თაგვი

ძვ. ინდური **mūs**; სპარსული **mūš**; ბერძნული **mūs**; სომხური **mukn**; ძვ. სლავური **myši**; ლათინური **mūs**; ძვ. ისლანდიური, ძვ. გემო-გერმანული, ძვ. ინგლისური **mūs**.

მზე

ძვ. ინდური **sūvar**; ლიტვური **saule**; პრუსიული **saule**; ძვ. სლავური **slŭnice**; გოთური **sauil**; ძვ. გემო-გერმანული **sunna**; ძვ. ინგლისური **sunne**; ლათინური **sōl**.

ვამლი

ძვ. სლავური **ablŭko**; ბულგარული **аблъко**; ძვ. პოლონური **jablo**; ლატვიური **ābele**; ძვ. ინგლისური **æppal**; ძვ. გემო-გერმანული **apful**; გოთური **apel**.

ზემოთ განხილულ მაგალითებში მონათესავე სიტყვების მნიშვნელობა ინდოევროპულ ენებში მეტ-ნაკლებად იდენტურია. თუმცა, უფრო ხშირია ისეთი

სიტყვები, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობა იცვლება სხვადასხვა მონათესავე ენაში. მაგ.:

ბე

ხეთური taru; ძვ. ინდური dāru; ალბანური dru; ძვ. ირლანდიური daur; გოთური triu; ძვ. ისლანდიური trē; ძვ. ინგლისური trēo; ძვ. საქსური trio; ძვ. ირლანდიური daur „მუხა“; ძვ. სლავური drivo (რუსული дерево); ლიტ. dervà „ფიჭვი“.

როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, ხის აღმნიშვნელი სიტყვა რამდენიმე ენაში იცვლის მნიშვნელობას. თუ უმეტეს ინდოევროპულ ენაში იგი აღნიშნავს ზოგადად ხეს, ძველ ირლანდიურში მისი მნიშვნელობა ვიწროვდება და „მუხის“ მნიშვნელობით მკვიდრდება. ასევე ვიწროვდება ამ სიტყვის მნიშვნელობა ლიტვურში და ამ ენაში „ფიჭვის“ მნიშვნელობით იკიდებს ფეხს.

ცა, ზეცა

სანსკრიტი ásmā „ქვა; კლდე; ზეცა, ცის კამარა“; ავესტური asman „ქვა; ზეცა, ცის კამარა“; ძვ. ბერძნული ἄκμασ „გრდემლი“; ლიტვური akmuõ „ქვა“; ძვ. სლავური камы (რუს. камень „ქვა“); ძვ. ინგლისური heofon, heofun (თანამედრ. ინგლ. heaven „ცა, ზეცა“); ძვ. საქსური hevan, heban; himil; ჰოლანდიური hemel; ისლანდიური himinn; ძვ. ფრიზული himel, himul; ძვ. გემო-გერმანული himil (თანამედრ. გერმ. Himmel).

ამ მაგალითში იკვეთება ის ბგერათმესატყვისობები, რაც არსებობს ინდოევროპულ ენებსა და გერმანიკულ ენებს შორის: ინდოევროპულ **k**-ს გერმანიკულ ენებში **h** შეესატყვისება. სანსკრიტისა და ავესტურის **s** თანხმოვანი (*ásmā, asman*) კი იმით აიხსნება, რომ ეს ენები სატემ ენებია.

საინტერესოა მოცემული სიტყვის სემანტიკული ცვლილებები ამ ენებში. გერმანიკულ ენებში ეს სიტყვა აღნიშნავს „ცას, ზეცას“, ინდოევროპულ ენებში კი „ქვას, კლდეს“;

ზეცას, ცის კამარას“. ეს განსხვავება იმით აიხსნება, რომ ძველი ხალხების წარმოდგენით ცა, ზეცა მყარი ნივთიერება იყო, ცის კამარი კლდოვანი იყო.

დინება, სირბილი

სანსკრიტი **riṅāti** „დენა, დინება“; ლათინური **rīvus** „პატარა მდინარე, ნაკადული“; ძვ. ირლანდიური **rían** „ზღვა; დინება“; ძვ. სლავური **ринѣти** „გაქანება, გავარდნა; მივარდნა (რუსული ринуться); **рѣка** „მდინარე“ (რუსული река); ძვ. ინგლისური **rinnan** (ინგლისური run „სირბილი“); ძვ. ფრიზული **rinna, renna**; ძვ. საქსური **rinnan**; ჰოლანდიური. **rinnen**; ძვ. გემო-გერმანული **rinnan** (გერმანული rinnen); ისლანდიური **rinna, renna**.

საინტერესო სემანტიკური ცვლილებები იკვეთება ამ სიტყვაშიც. გერმანიკულ ენებში იგი მკვიდრდება „სირბილის“ მნიშვნელობით, სხვა ინდოევროპულ ენებში კი აღნიშნავს „დინებას, მდინარეს, ზღვას“.

ძილი

ლიტვეური **slābnas** „სუსტი“; ძვ. სლავური **слабъ** (რუსული слабый); ძვ. ინგლისური **slæpan** (ინგლისური sleep „ძილი“); ძვ. ფრიზული **slēpa**; ძვ. საქსური **slāpan**; ჰოლანდიური **slapen**; ძვ. გემო-გერმანული **slāfan** (გერმანული schlafen).

ამ მაგალითშიც ჩანს სემანტიკური ცვლილება, სლავურ ენებში აღნიშნული სიტყვა აღნიშნავს „სუსტს“, გერმანიკულ ენებში კი „ძილს“ (ძილის დროს სხეული მოშვებულია, მოდუნებულია).

თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი ინდოევროპული წარმომავლობის ლექსიკაში გამოყოფს ე.წ. „მიგრაციულ ტერმინებს“. მაგალითისათვის განვიხილოთ სიტყვა **ყურძენი, ღვინო**.

ყურძენი, ღვინო

ხეთური **uḷana** „ღვინო“; მიკენური ბერძნული **wono** „ღვინო“; სომხური **gini**; ალბანური **vënë**; ლათინური **uīnum**; გოთური **wein**; ძვ. ინგლისური **wīn**; ძვ. გემო-გერმანული **wīn**; ძვ. სლავური **vinо**; პოლონური **wino**.

ინდოევროპული სახელწოდება „ღვინოსათვის“ მსგავსია მისი წინააზიური სახელებისა.

მაგ. არაბული **wain**; ძვ. ებრაული **jajin**; ეგვიპტური **wnš**; ასევე სამხრეთკავკასიურ ანუ ქართველურ ენებში აღდგენილია ფორმა ***ywino** (ღვინო).

მაშასადამე, ეს სიტყვა გვხვდება როგორც ინდოევროპულ, ისე სემიტურ და ქართველურ ენებში. სწორედ ასეთ ტერმინებს უწოდებენ თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი „მიგრაციულ“ ტერმინებს. ეს ტერმინი სავარაუდოდ ერთი პროტოენიდან მეორე პროტოენაში გადადიოდა იმ პერიოდში, როდესაც ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ დაშლილი ცალკეულ ენებად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უძველესი კერა ღვინისა და ყურძნისა არის კავკასია. ვაზის კვალი კავკასიაში აღმოჩენილია ძვ. წ. V- IV ათასწლეულის კულტურულ შრეში.

ინდოევროპული ლექსიკა საინტერესოა არა მხოლოდ სიტყვების ფორმისა და მნიშვნელობის მსგავსებით, არამედ მსგავსი რიტუალური თუ სხვა სახის წარმოდგენებით, რაც ამა თუ იმ სიტყვით აღნიშნულ საგანს, მოვლენას, ცხოველს და ა.შ. უკავშირდება.

მგელი.

ემ სიტყვა ინდოევროპულში რამდენიმე ლექსემითაა წარმოდგენილი ***uḷk^[h]** და ***uḷp^[h]**

ძვ. ინდური **vṛkah**; ავესტური **vəhrka**; ძვ. სლავური **vilkŭ** (რუსული волк); ლიტვეური **vilkas**; ალბანური **ulk**; ხეთური **ulippana**; გოთური **wulfs**; ინგლისური **wolf**; ლათინური **lupus**.

მგელი ინდოევროპელთა წარმოდგენებით რიტუალური დანიშნულების ცხოველი იყო. მაგ. ძველხეთურ ტრადიციაში იგი საკრალური თვისებების განსახიერებადაა მიჩნეული და ერთიანობისა და ყოვლისმცოდნეობის სიმბოლოა (omniscience).

საყურადღებოა ძველი ხეთური რიტუალის პარალელი გერმანიკულ ენებში, სადაც მეომრებს აღწერენ როგორც მგლებს (ერთიანობის სიმბოლო). მაგ. ძვ. ინგლისური heoruwulfas, wærewulfas „მეომარი-მგლები“.

ინდოევროპულ ენაში აღდგება მგლის აღმნიშვნელი კიდევ ერთი ლექსემა *weit-, რომლისგანაც სხვადასხვა ინდოევროპულ ენაში განვითარდა სიტყვები მაქციას მნიშვნელობით. ამავე ძირს უკავშირდება ცოდნის აღმნიშვნელი სიტყვები მთელ რიგ ინდოევროპულ ენაში (რადგან მგელი ყოვლისმცოდნეობის სიმბოლოა):

ცოდნა, გაგება

სანსკრიტი **véda**; ავესტური **vaēdā**; ძვ. ბერძნული **οἶδα** „ხედვა; დანახვა“; ლათ. **vidēre** „ხედვა; დანახვა“; ძვ. სლავ. **вѣдѣти** „ცოდნა“ (რუს. **ведать**); ძვ. ინგლისური **witan** (ინგლ. **wit არქ.**); ძვ. ფრიზული **wita**; ძვ. საქსური **witan**; პოლ. **weten**; ძვ. გემო-გერმანული **wizzan** (გერმანული **wissen**); ისლანდიური **vita**.

ძროხა (და, შესაბამისად რძე) ინდოევროპელთა წარმოდგენებით არის კოსმიური ნაყოფიერების სიმბოლო. აღსანიშნავია, რომ **გალაქტიკა** ეტიმოლოგიურად უკავშირდება ბერძნულ სიტყვას, რომელიც აღნიშნავს „რძეს“. ჩვენი გალაქტიკის სახელი კი ინგლისურ ენაზე არის Milky Way.

რატომ არის მნიშვნელოვანი პროტონის რეკონსტრუქცია?

რა ინფორმაციას გვაწვდის აღდგენილი პროტონის ლექსიკონი?

აღდგენილი პროტონა, გარდა წმინდად ენობრივი ინფორმაციისა, პასუხს სცემს ბევრ კითხვას პროტონის არსებობის შესახებ დროსა და სივრცეში, ამ ენის მატარებელი ხალხების განვითარების დონის შესახებ, მათი მატერიალური კულტურის, მათი სოციალური ორგანიზაციის, საქმიანობის და სხვა მრავალი საკითხის შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ ლინგვისტური მონაცემები უნდა შეჯერდეს და გადამოწმდეს ისტორიული წყაროებით, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ინფორმაციით და სხვა წყაროებით.

როდის არსებობდა პროტო-ინდოევროპული ენა?

პროტო-ინდოევროპული ენის არსებობის სავარაუდო თარიღად მიჩნეულია მე-4 ათასწლეული ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ტრადიციული თეორიით ინდოევროპელი ტომების თავდაპირველი საცხოვრისი იყო ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა. აღდგენილი პროტო-ინდოევროპული ენის მონაცემები სულ სხვა ინფორმაციას გვაწვდის ამ საკითხზე. პროტო-ინდოევროპული ენის ლექსიკონის მიხედვით, ძველ ინდოევროპელებს მაღალმთიან რეგიონში უნდა ეცხოვრათ, რადგან მის ლექსიკონში აღდგება სიტყვები: მაღალი მთა, სიმაღლე, სწრაფი მდინარე, ხშირი ჭექა-ქუხილი, ღრუბლიანი ცა და სხვა. ამასთან ერთად, პროტოენის ლექსიკონში აღდგენილი ფლორა და ფაუნა მეტყველებს ინდოევროპული ეკოლოგიური გარემოს სამხრეთულ ბუნებაზე.

პროტო-ინდოევროპული ენის ლექსიკონში მრავლადაა მიწათმოქმედებასთან, მეცხოველეობასთან, მეფუტკრეობასთან დაკავშირებული სიტყვები. ძვ. წ.-ის მე-4 ათასწლეულში ცენტრალურ ევროპაში სოფლის მეურნეობა და მეცხოველეობა მხოლოდ ჩანასახოვან მდგომარეობაშია, რაც გამორიცხავს იმას, რომ ეს რეგიონი იყო პირველ ინდოევროპელთა საცხოვრისი. შესაბამისად, ენობრივი მონაცემები მეტყველებს იმაზე, რომ ინდოევროპელ ტომებს უნდა ეცხოვრათ იქ, სადაც მიწათმოქმედება და მეცხოველეობა კარგად იყო განვითარებული ძვ. წ.-ის მე-4 ათასწლეულში, კერძოდ ესაა სამხრეთ-დასავლეთი აზიის რეგიონი.

პროტო-ინდოევროპულ ლექსიკაში არის სიტყვები, რომლებიც დასტურდება პროტოქართველურ და პროტოსემიტურ ენებში, რაც, თავის მხრივ, მეტყველებს ნასესხობებზე, და, შესაბამისად, ენობრივ კავშირებზე ამ ხალხებს შორის. ეს კი, თავის მხრივ, მიუთითებს იმაზე, რომ პროტო-ინდოევროპელებს უნდა ეცხოვრათ პროტოქართველებისა და პროტოსემიტური ტომების მეზობლად. თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის აზრით, ინდოევროპელთა თავდაპირველი განსახლების ადგილი იყო ახლო აღმოსავლეთი.

პროტონის რეკონსტრუქციის საფუძველზე აღდგენილი პროტოკულტურა, ასევე მეტყველებს ინდოევროპელების კავშირზე უძველეს აღმოსავლურ ცივილიზაციებთან.

სწორედ ამ ტერიტორიიდან განსახლდნენ შემდგომში ინდოევროპელი ტომები ევრაზიის ვრცელ ტერიტორიაზე.

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. ინდოევროპულ ენათა განვითარების რომელ ეტაპს განეკუთვნება საერთო ინდოევროპული ლექსიკა?
2. რამდენად მრავალფეროვანია საერთო ინდოევროპული ლექსიკა? შეიძლება იგი მრავალრიცხოვნად ჩაითვალოს?
3. რა თემატური ჯგუფების სიტყვები შედის საერთო ინდოევროპული ლექსიკის ეტიმოლოგიურ შრეში?
4. თამაზ გამყრელიძისა და ვიაჩესლავ ივანოვის თანახმად, რომელი ცხოველები ეკუთვნიან „შუა სამყაროს“? (დაასახელეთ ზოგიერთი მათგანი)
5. რომელი ცხოველები ეკუთვნიან „ქვედა სამყაროს“? (დაასახელეთ ზოგიერთი მათგანი)
6. რომელი ცხოველები ეკუთვნიან „ზედა სამყაროს“? (დაასახელეთ ზოგიერთი მათგანი)
7. რამდენად დიდია, თქვენი აზრით, მსგავსება სხვადასხვა თანამედროვე ინდოევროპულ ენებში „თაგვის“, „მზის“, „ვაშლის“ აღმნიშვნელ სიტყვებს შორის? როგორ ფიქრობთ, იძლევა ეს მსგავსება საშუალებას დავასკვნათ, რომ ეს სიტყვები საერთო ფუძეებიდან მომდინარეობს?
8. რამდენად შეიძლება განსხვავდებოდეს მონათესავე სიტყვების ლექსიკური მნიშვნელობა სხვადასხვა ინდოევროპულ ენაში?
9. როგორ სიტყვებს უწოდებენ მიგრაციულ ტერმინებს თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი?

10. რა რიტუალური როლი აქვს მგელს ძველი ინდოევროპელების წარმოდგენებში და როგორ აისება ეს ფაქტი ზოგიერთი ინდოევროპული ენის ლექსიკაში?
11. რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ თანამედროვე ენების ერთმანეთთან შედარების გზით პროტოენაზე მოლაპარაკე ხალხის პროტოკულტურისა და ეთნოგრაფიის რამდენადმე ზუსტი დეტალების რეკონსტრუირება?
12. რაზე მეტყველებს მსგავსი სიტყვების არსებობა ინდოევროპულ, სემიტურ და ქართველურ ენებში?
13. თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის აზრით, დაახლოებით სად იყო პროტოინდოევროპელთა ეთნოგენეზისა და თავდაპირველი განსახლების ადგილი? რის საფუძველზე აკეთებენ ასეთ დასკვნას მეცნიერები?